პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის
სამინისტროსა და პროფკავშირთა საქართველოს
რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Министерства здравоохранения ГССР
и Грузинского Республиканского Совета
профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 22 (724). ოთხშაბათი, 17 მარტი, 1954 წ. ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი უსაზღვრო ერთგულებით

სურათზე: ხალხის რჩეულებს აძლევენ ხმას სპორტის დამსახურებული ოსტატები (მარცხნიდან) გ. კარტოზია, მ. ჯუღელი და დ. ციმაკურიძე.

პარტიისა და ხალხის ურღვევი კავშირის მძლავრი დემონსტრაცია

ჩვენს დიად სამშობლოში უდიდესი პოლიტიკური აღმავლობით ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ერთხელ კიდევ თვალნათლივ გამოვლინდა, კვლავ ცხადი გახდა მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის დიადი ურღვევი კავშირი, ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა მეგობრობა, მთელი საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის სიმტკიცე. არჩევნებმა ცხადყო, თუ რა უწყვეტი კავშირი აქვს კომუნისტურ პარტიას მშრომელთა უფართოეს მასებთან.

ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოთა სახალხო ბლოკის კანდიდატებს, რითაც მთელ მსოფლიოს დაანახეს, რომ ისინი უდიდეს ნდობას უცხადებენ კომუნისტურ პარტიას, მთლიანად იწონებენ მის ბრძნულ პოლიტიკას.

რედაქციამ ლესელიძიდან მიიღო დეპეშა: „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ანთაძე გვატყობინებს: „მთელი გუნდი უდიდესი აღმავლობით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. ყველამ მივეცით ხმა კომუნისტებისა და უპარტიოთა სახალხო ბლოკის კანდიდატებს“. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ღოღობერიძემ ხმის მიცემის დროს განაცხადა: „ვაძლევ რა ხმას ხალხის რჩეულებს, მჯერა, რომ უფრო ბედნიერი გახდება ჩვენი ცხოვრება, უფრო ამაღლდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონე, მეტი ყურადღება მიექცევა ფიზკულტურასა და სპორტს. „დინამოს“ ფეხბურთელები სიტყვას ვიძლევით, რომ ენერგიული მეცადინეობით განუხრელად გავზრდით ჩვენს სპორტულ მაჩვენებლებს და ხელს შევუწყობთ მშობლიური სპორტის შემდგომ აღმავლობას“.

— მე სიხარულით ვაძლევ ხმას ლენინ—სტალინის პარტიის ერთგულ ადამიანებს, — განაცხადა ხმის მიცემის წინ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა დ. ციმაკურიძემ, — რადგან ვიცი, პარტია მამობრივ მზრუნველობას უწევს ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შესამჩნევად გაფართოვდება სპორტული ბაზების ქსელი, ამაღლდება ჩვენი ოსტატობა, გამრავლდება ჩემპიონთა, თანრიგოსანთა რიგები. წარმატებით გავახორციელებთ კომუნისტური პარტიის მიერ საბჭოთა სპორტსმენების წინაშე დასახულ ამოცანას — დავიპყროთ მსოფლიო სპორტული მწვერვალები სპორტის წამყვან სახეობებში!

კომუნიზმის მშენებელმა გმირმა საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ მიდის რა გენიალური ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ი. ბ. სტალინის მეთაურობით სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენი სამშობლოს ხალხები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ყველა ამომრჩევლისადმი, წინასაარჩევნო კრებებზე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა გამოსვლებში შეჯამებულ იქნა იმ უდიდესი მუშაობის შედეგები, რაც გაწეულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინანდელი არჩევნების შემდეგ განვლილ ოთხ წლიწადში. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უმაღლესი კანონია მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებაზე ზრუნვა. ხმა მისცეს რა კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს, საბჭოთა ადამიანებმა ამით ხმა მისცეს ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის შემდგომ აყვავებას, სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელ ზრდას, სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებისა და ძალის ყოველნაირად განმტკიცებას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებას.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა, როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ერთსულოვანი, აქტიური მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჭეშმარიტად იყო საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ახალი ტრიუმფი, კომუნისტური პარტიისადმი ხალხის მხურვალე სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების მძლავრი დემონსტრაცია, რადგან ხალხმა იცის, რომ პარტია მთელ თავის ძალღონეს ახმარს სამშობლოს მშვიდობიან განვითარებასა და აყვავებას.

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

მსოფლიოს ახალი რეკორდი

შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში, სადაც წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის მოცურავეები, მოეწყო მათი დასკვნითი გამოსვლები. სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა, ვიქტორ სოლოვიოვის, ვლადიმერ მინაშკინის, პეტრე სკრიპჩენკოვისა და ლევ ბალანდინის შემადგენლობით, კომბინირებულ ამანათცურვაში 4×100 იარდზე მანძილი დაფარა 3 წუთსა და 52 წამში, რითაც დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. ძველი რეკორდი ეკუთვნოდა აშშ-ს ერთ-ერთი უნივერსიტეტის გუნდს.

100 მეტრზე ზურგით ცურვაში საბჭოთა სპორტსმენმა, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა ვიქტორ სოლოვიოვმა მანძილი გაცურა 1 წუთსა და 05,3 წამში. სოლოვიოვის შედეგი 4 წამით უკეთესია 1952 წელს მის მიერ დამყარებულ საკავშირო რეკორდზე.

საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებიც ორი კვირის განმავლობაში სტუმრობდნენ შვეციაში, ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში შეხვდნენ სტოკჰოლმისა და შვეციის სხვა ხუთი ქალაქის სპორტსმენებს. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მოცურავეებმა დაამყარეს 9 ახალი რეკორდი. მათ შორის 3 მსოფლიოს, ერთი ევროპისა და ხუთი საკავშირო რეკორდი.

ხმას აძლევენ მოსკოველი მშრომელები

გაზაფხულის დილაა. მოსკოვის საარჩევნო უბნების შენობები მორთულია ცოცხალი ყვავილებით, წიწვის გირლანდებით. სადღესასწაულო განწყობილებით მოდიან აქ მოსკოველები, რათა მონაწილეობა მიიღონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში.

დიდი გამოცოცხლებაა ლენინგრადის საარჩევნო ოლქის № 60 საარჩევნო უბნის შენობაში. აქ კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი. უკვე პირველ საათებში ამ ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობამ შეასრულა მოქალაქეობრივი მოვალეობა.

დიდი აქტივობით მისცეს ხმა მოლოტოვისა და კალინინის საარჩევნო ოლქების ამომრჩევლებმა, სადაც კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრიან ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი და ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. მოსკოვის ყველა საარჩევნო უბანში ამომრჩევლები იღებდნენ ბიულეტენებს, რომლებზეც აღბეჭდილია ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინის სახელი.

ცხრამეტ დეპუტატს ირჩევენ მოსკოველები სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. ბიულეტენებში შეტანილი არიან წარჩინებული ხარატი პ. ბიკოვი, გამოჩენილი მეცნიერი აკადემიკოსი ა. ნესმეიანოვი, ნოვატორი კალატოზი ი. შირკოვი, რუსეთის სფსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ე. მარტიანოვა, მსახიობი ა. ტარასოვა და ჩვენი სამშობლოს სხვა ერთგული შვილები.

უფრო უხვად ფენს სხივებს მზე. საარჩევნო უბნებში გამოდიან მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, მოსკოვის თეატრების მსახიობები. ქუჩებში ისმის ახალგაზრდობის სიმღერები.

დედაქალაქში ხმა მისცეს არა მარტო მოსკოველებმა, არამედ აგრეთვე მრავალმა სტუმარმა.

... სასტუმრო „მოსკოვი“. უზარმაზარ ვესტიბიულში მოთავსებულია სვერდლოვის საარჩევნო ოლქის № 3 საარჩევნო უბანი. ხმის მიცემის უფლების მოწმობა ერთ-ერთმა პირველმა წარადგინეს ყირგიზმა მწერალმა კასიმალი ბაიალინოვმა და უზბეკმა მსახიობმა სარა იშანტურაევამ. მაშინ როცა იგი მოსკოვში ყუთში უშვებს ბიულეტენს, რომელზეც აღბეჭდილია მსახიობ ა. ტარასოვას სახელი, კუნგრადის საარჩევნო ოლქში კენჭს უყრიან მის კანდიდატურას.

სამშობლოს სადიდებლად

დილის ექვსი საათიდან საარჩევნო უბანი, რომელიც მოთავსებულია თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის შენობაში, გაივსო ქარხნის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები ახალგაზრდობით. სიხარულით აღსავსე ახალგაზრდა ამომრჩეველთა შორის ბევრია ისეთი, რომელიც პირველად აძლევს ხმას. პირველად სიამაყით ჩაუშვეს ბიულეტენები საარჩევნო ყუთში სამსხმელო საამქროს მეყალიბე ა. გელაშვილმა და ამწყობი საამქროს ზეინკალმა ი. ზარქაიძემ. მათ, ისევე როგორც მილიონობით საბჭოთა ადამიანმა, ხმა მისცეს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომლებმაც ჩვენი სამშობლოს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს გაუხსნეს ცოდნის, სასიხარულო შემოქმედებითი შრომის გზა.

აი, ბიულეტენებს უშვებენ ყუთში წარმოების წარჩინებული მუშაკები — მჭედელი მ. გელაშვილი და ხარატი ი. გორბაჩოვი. იდგნენ რა წინასაარჩევნო შრომითი ვახტზე, ისინი ცვლაში სამ-ოთხ ნორმას ასრულებდნენ. ახალგაზრდა მუშები, რომელნიც ქარხანაში სულ რამდენიმე წლის წინათ მოვიდნენ, იზრდებოდნენ მშობლიურ საწარმოსთან ერთად. ამ წლების მანძილზე ისინი ლითონის ჩქაროსნული ჭედისა და ჩქაროსნული ჭრის ოსტატები გახდნენ.

ბედნიერი საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც უსაზღვროდ ერთგულია სამშობლოსი და კომუნისტური პარტიისა, მზად არის პარტიის მოწოდებით ახალ-ახალი პატრიოტული საქმე შეასრულოს სამშობლოს სადიდებლად.

სამსხმელო-მექანიკური ქარხნის კოლექტივი ღირსეულად შეეგება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს, გადაჭარბებით შესრულდა ორი თვის საწარმოო გეგმა დავალების გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე დიდი სიზუსტის სახარატო ჩარხი.

ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის

დიდი გამოცოცხლებაა სამგორის მშენებელთა დაბა ორხევში. ასობით ამომრჩეველი შეიკრიბა კლუბში, სადაც მოთავსებულია საარჩევნო უბანი, რათა მოიხადონ პატრიოტული ვალი — ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს. ისინი ხმას აძლევენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მჟავანაძეს და საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. სეხნიაშვილს.

დაბა ორხევი, რომელიც მდებარეობს თბილისის სასოფლო საარჩევნო ოლქში, გადაჭიმულია ათობით კილომეტრზე. ომისშემდგომ წლებში ამ საარჩევნო ოლქში, ისევე როგორც ყველგან, დიდი ცვლილებები მოხდა. წარმოიშვა ქართველ მეტალურგთა ქალაქი — რუსთავი, სამგორის სარწყავი სისტემის მშენებელთა დაბები, ახალი სოფლები, საბჭოთა მეურნეობები, მტს-ები, აიგო მთელი რიგი დიდი საწარმოები. ოლქის მშრომელები არჩევნების დღეს შეხვდნენ ახალი შრომითი გამარჯვებებით.

—დღეს ჩვენ სასიხარულო დღესასწაული გვაქვს, — განაცხადა ხმის მიცემისთანავე სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ფ. გამჯაშვილმა. — ჩვენ ხმას ვაძლევთ ჩვენს კომუნისტურ პარტიას, რომელსაც მიჰყავს საბჭოთა ხალხი კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ. ყოველი საბჭოთა ადამიანი ხედავს პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ნებით განხორციელდა ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება. სამგორის გველვით დაღარულმა მიწამ მაცოცხლებელი წყალი მიიღო. პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის ჩვენ ახალი შრომითი წარმატებებით ვუპასუხებთ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა თბილისის სასოფლო საარჩევნო ოლქში ჩაიარა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მშრომელთა დარაზმულობისა და ერთსულოვნების ვითარებაში.

გაიხსნა მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ჭადრაკში

14 მარტს მოსკოვში, ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში, მსოფლიო ჩემპიონ გროსმაისტერ მიხეილ ბოტვინიკსა და გროსმაისტერ ვასილ სმისლოვს შორის.

მატჩის დაწყებისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ დ. პოსტნიკოვმა. სიტყვით გამოვიდა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი ფ. როგარდი (შვეცია). მან მადლობა გამოუცხადა საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაციას შეჯიბრების კარგად მოწყობისათვის და მონაწილეებს უსურვა წარმატებები.

ბოტვინიკს და სმისლოვს სიტყვებით მიმართეს აგრეთვე საბჭოთა საჭადრაკო სექციის თავმჯდომარემ ვ. ვინოგრადოვმა და შვეიცარიის 1953 წლის მსოფლიო ჩემპიონის პრეტენდენტთა ტურნირის ორგანიზატორმა ი. ნაგლერმა.

დასასრულ გამოვიდა მატჩის არბიტრი საერთაშორისო ოსტატი ქ. ოპოჩენსკი (ჩეხოსლოვაკია). მან გააცნო დამსწრეთ მატჩის გათამაშების პირობები და ჩაატარა კენჭის ყრა. გუშინ შედგა მატჩის პირველი პარტია, რომელშიც თეთრებით თამაშობდა ვ. სმისლოვი.

ფიზიკური კულტურა ხანშიშესულთათვის

დაბერების პროცესების შესწავლაზე, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ბრძოლის საკითხებზე მრავალი საბჭოთა მეცნიერი მუშაობს. დამოუკიდებლად თავიანთი შეხედულებების, ჰიპოთეზებისა და თეორიებისა, ყველა აღიარებს, რომ წესიერი ცხოვრების ფონზე, რაც ჯანსაღი სიბერის საწინდარია, მნიშვნელოვანი ადგილი ფიზიკურ კულტურას უნდა ეკავოს.

გენიალური რუსი ფიზიოლოგი ი. პ. პავლოვი, რომელმაც მჩქეფარე შემოქმედებითი მოღვაწეობაში 86 წლამდე იცოცხლა, მუდამ მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა ფიზიკურ კულტურას. იგი მიუთითებდა, რომ ხელსაყრელ პირობებში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეიძლება იყოს სულ ცოტა 100 წელი. ამავე დროს იგი ხაზს უსვამდა, რომ თავშეუკავებლობით, უწესობით, საკუთარი სხეულისადმი უდიერი მოპყრობით ადამიანებს ეს ნორმალური ვადა გაცილებით დაბალ ციფრამდე დაჰყავთ.

სტალინური პრემიის ლაურეატი პროფესორი ო. ბ. ლეპეშინსკაია, რომელმაც 64 წლის ასაკში მშთ ნორმები ჩააბარა და ოთხმოცი წლის ასაკშიც კი განაგრძობს ფიზკულტურულ ვარჯიშს, სრულიად საფუძვლიანად ამტკიცებს, რომ „ფიზიკური კულტურა არის ნაადრევ სიბერესთან ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საშუალება და გაახალგაზრდავების საშუალებაც კი“.

ნივთიერებათა ცვლა — სიცოცხლის საფუძველია. იგი ადამიანის სიცოცხლეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ხანის მომატებასთან ერთად, განსაკუთრებით იმ ადამიანებს, რომელნიც ნაკლებად მოძრავ ცხოვრებას ეწევიან, უმცირდებათ ცვლის ინტენსივობა, უმცირდებათ ჟანგვითი პროცესები, ესუსტდებათ ქსოვილების კვება.

ეს პროცესები მჭიდროდაა დაკავშირებული სისხლის მიმოქცევის სისტემასთან. სიბერესთან ერთად სუსტდება გულის კუმშვადი მუშაობა. მცირდება სისხლძარღვების შიდა გარსების ელასტიკურობა, რის გამოც რამდენადმე მაღლდება სისხლის წნევა. სასუნთქავი აპარატი, რომელსაც სისხლში შეაქვს ქსოვილებისათვის აუცილებელი ჟანგბადი, აგრეთვე ასუსტებს თავის მოქმედებას. კუნთები, რომლებიც სხეულის მასის თითქმის 40 პროცენტს შეადგენენ, კვების გაუარესების შედეგად მცირდება მოცულობაში, მცირდება მათი ძალა, გამძლეობა.

საბჭოთა მეცნიერების მიღწევების მეოხებით ცნობილი გახდა, რომ ფიზიკურ ვარჯიშს შეუძლია მნიშვნელოვნად შეანელოს ნაადრევი დაბერების პროცესები, რომ იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია ნერვული სისტემა, შეიძლება გამაფრთხილებელი ზომები მივიღოთ მთელ რიგ დაავადებათა წინააღმდეგ.

თამაშით, ტანვარჯიშით, სპორტით მიღებული მხნეობისა და კმაყოფილების გრძნობა, განსაკუთრებით თუ ის შეხამებულია ესთეტიკურ შთაბეჭდილებებთან, აუმჯობესებს ყველა ორგანოს მუშაობას. ეს კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ნერვულ სისტემაზედაც. სწორედ ამაზეა მნიშვნელოვანწილად დაფუძნებული ჰიპერტონიული დაავადებისა და ნერვული სისტემის მთელი რიგი სხვა ფუნქციური და ორგანული დაავადებისას სამკურნალო ფიზკულტურის წარმატებით გამოყენება.

მოძრაობისას კუნთებში მრავალრიცხოვანი კაპილარი იხსნება, იზრდება სისხლის პერიფერიული ზროები, უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა. მეტი ჟანგბადი და საკვები ნივთიერება ვრცელდება ორგანიზმში და უფრო სწრაფად ხდება დაშლის პროდუქტების გამოყოფა.

ზომიერი ჯანმრთელობა და ინდივიდუალურ თავისებურებებთან შეხამებული ფიზიკური კულტურა უდიდეს გავლენას ახდენს ყველა სასიცოცხლო პროცესზე, ადამიანის ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლაზე და ამით ანელებს დაბერების პროცესს.

შეიძლება თუ არა ფიზკულტურული ვარჯიში ხანდაზმულობის ან სიბერის დროს? უნდა ითქვას, რომ მოხუც ადამიანს, რომელსაც უმცირდება სასიცოცხლო ფუნქციები, ისევე სჭირდება ფიზიკური ვარჯიში, როგორც ახალგაზრდას. მაგრამ საშუალებათა მოცულობა და მეცადინეობის მეთოდიკა ასაკს უნდა შეესაბამებოდეს.

დოზირებული ფიზიკური ვარჯიშებით სისტემატური მეცადინეობა არტერიოსკლეროზის, ჰიპერტონიის, სიმსუქნის, ნიკრისის ქარის, შაქრის დიაბეტისა და ხანდაზმულობისას სხვა ხშირი დაავადებების პროფილაქტიკის ეფექტური საშუალებაა.

მაშ როგორი ფიზკულტურაა საჭირო ხანდაზმულობისა და სიბერის დროს? ფიზიოლოგიურ დაბერებასთან დაკავშირებული ასაკის მთელ რიგ თავისებურებათა გათვალისწინებისას, შეიძლება ითქვას, რომ ხანშიშესული ადამიანებისათვის ხელმისაწვდომია ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახეობათა უმრავლესობა.

ჩვენს საბჭოთა ფიზკულტურას ადამიანის ფიზიკური აღზრდის საშუალებათა დიდი არსენალი გააჩნია. მათ შორის პირველ ადგილზე უნდა იყოს ისეთები, რომელთა გამოყენება დამოუკიდებლად შეიძლება. პირველყოვლისა მათ მიეკუთვნება ყოველდღიური ტანვარჯიში.

ძილის დროს ნერვული სისტემა დამუხრუჭებულია, ნივთიერების ცვლა დაწეულია, სისხლის მიმოქცევა შენელებულია, სუნთქვა ზერელეა. როდესაც ადამიანი იღვიძებს, საჭიროა ძილიდან სიფხიზლეში გადასვლა შემსუბუქდეს 8-12 ვარჯიშიანი კომპლექსით.

ილი მრავალფეროვანი ვარჯიშების შერჩევით ჩვენ მნიშვნელოვანწილად ვასრულებთ ზემოდასახულ ამოცანას: კერძოდ, კუნთების შეკუმშვა-გაშლით ტონს ვაძლევთ ნერვულ სისტემას, ვაუმჯობესებთ სისხლის მიმოქცევას და ვააქტიურებთ სუნთქვას.

ეფექტი მნიშვნელოვნად დიდდება, თუ ვარჯიში შიშველი ტანით სრულდება და მთავრდება გაბანვით ან სველი პირსახოცით ტანის დაზელით. თუ არ არის დილით ვარჯიშის საშუალება, მაშინ იგი შეიძლება საღამოსათვის გადავიტანოთ. ამ შემთხვევაში ვარჯიშს უნდა ჰქონდეს უფრო წყნარი, ნაკლებ ინტენსიური ხასიათი.

მუშაობისას ჩვენ მეტ წილ შემთხვევაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთსადაიმავე სტატიკურ მდგომარეობაში ვიმყოფებით (მუშა დაზგასთან, კომბაინერი — საჭესთან, მხაზავი დაფასთან, მეცნიერი მუშაკი მაგიდასთან, მიკროსკოპთან და ა. შ.). ეს იძულებითი მდგომარეობა დამქანცველია, იწვევს ვენოზური სისხლის შეგუბებას, უმთავრესად მენჯისა და ქვედა კიდურების არეში.

როგორც დაკვირვებები გვიჩვენებენ, რამდენიმე ვარჯიში, რომლებსაც 3-5 წუთი ჰირდება, კარგ ხასიათზე აყენებს ადამიანს, ამცირებს დაქანცულობას, ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას.

ხანშიშესულთათვის კუნთების მოქმედების ყველაზედ უფრო ხელმისაწვდომ და ძვირფას სახეს სიარული და სეირნობა წარმოადგენს. მოძრაობის ეს ბუნებრივი სახე, რომელშიაც ჩვენი ორგანიზმის კუნთების უმრავლესობა მონაწილეობს, უაღრესად კეთილისმყოფლად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე. გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ, მაგალითად, საშუალო სისწრაფით სიარული (დაახლოებით 3 კილომეტრი საათში) ნივთიერებათა ცვლას 48 პროცენტით ადიდებს (პროფ. ნ. პ. იაკოვლევი). სიარულის ღირსება იმაშია, რომ მისი დატვირთვის მოქმედება ადვილად შეიძლება თვითვე მოაწესრიგო ძალისა და შეძლებლობის შესაბამისად, მანძილის, ადგილმდებარეობის პროფილის, მოძრაობის ხანგრძლივობისა და ინტენსივობის, ტემპისა და ნაბიჯის სიგრძის შეცვლით.

ფიზკულტურის ეს სახე განსაკუთრებით ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული დასვენების დღეებისა და წლიური შვებულების დროს. ცნობილია მრავალრიცხოვანი შემთხვევა, როდესაც შვებულების დროს ფრიად ხანდაზმული ადამიანები, ვარჯიშობდნენ რა სიარულში, დღეში 15-20 კილომეტრს გადიოდნენ.

სუსხიან ჰაერზე მოძრაობა ძალიან კარგია ნივთიერების ცვლისათვის. ციგურებით რიტმული სრიალი ხელმისაწვდომია ყოველი ხანშიშესული ადამიანისათვის.

ხანშიშესულებს თხილამურები უპირველეს ყოვლისა იმიტომ იზიდავენ, რომ ლამაზ ადგილმდებარეობაზე სრიალი დიდ ფიზიკურ და ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის მათ, რაც კარგ გავლენას ახდენს ნერვულ სისტემაზე. მოთხილამურის მრავალფეროვანი კუნთოვანი მუშაობა შესანიშნავად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე და განსაკუთრებით კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს სისხლის მიმოქცევასა და სუნთქვაზე.

იმისათვის, რომ ადგილი არ ექნეს დიდ, ორგანიზმის დამღლელ ძალის ხარჯვას, რაშიც განსაკუთრებით დაინტერესებული არიან მოხუცი ადამიანები, აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი: საჭიროა სრიალის ტექნიკის შესწავლა — ეს ძალის დიდ ეკონომიას მოგვცემს; თხილამურები კარგად უნდა იყოს გაპოხილი; იმისათვის, რომ დაქანცულმა შეძლოს სწრაფად დაბრუნება, ტანისამოსის გამოცვლა და დასვენება, მიზანშეწონილია მარშრუტი აირჩიო იმ ადგილის ირგვლივ, სადაც ტანსაცმელი გაიხადე.

ბანაობა, ცურვა — ფიზკულტურის ერთ-ერთი ძვირფასი სახეობებია. ორგანიზმზე წყლის გავლენა მრავალმხრივია. იგი ჩამორეცხავს ნივთიერებათა დაშლის პროდუქტებს, ასუფთავებს კანს. წყლის ნაწილაკები და მისი სიმძიმის ძალა დადებითად მოქმედებენ კანზე და უფრო ღრმად მდებარე ქსოვილებზე. ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მოძრაობა სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვისათვის ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის, წყლის ტემპერატურული გამაღიზიანებლები ორგანიზმს აკაჟებენ.

საჭიროა მხედველობაში მივიღოთ, რომ წყალი, აქვს რა დიდი სითბოტევადობა, ორგანიზმს ართმევს სითბოს, ხოლო ხანშიშესული ხალხი განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან სიცივისადმი. ბანაობა და ცურვა დაწყებულ უნდა იქნას ზაფხულის თბილ დღეებში, გაგრძელება კი შეიძლება უფრო დაბალი ტემპერატურების დროსაც.

ფიზიკური კულტურის სხვა სახეობებიდან ხანშიშესულთათვის შეიძლება რეკომენდებულ იქნას ველოსიპედით ქალაქგარეთ კარგ გზაზე სეირნობა.

ძალიან მიმზიდველია თევზის ჭერა. ჰაერზე ყოფნა, წყლის სიახლოვის დამამშვიდებელი გავლენა, ბუნების სილამაზე, შედარებით ნაკლები მოძრაობა — ყველაფერი ეს უპასუხებს ხანშიშესულთა მოთხოვნილებებს.

შეიძლება რეკომენდებულ იქნას აგრეთვე ნადირობა (თუ იგი დაკავშირებული არაა ძალის დიდ ხარჯვასთან).

სპორტული თამაშობანი გამოირჩევიან მკვეთრი ემოციურობითა და დიდი ინტენსივობით. ხანშიშესული და მოხუცი ადამიანებისათვის შეიძლება რეკომენდებულ იქნას რუსული რიკაობა, კეგლი, კროკეტი, ფრენბურთი, ცალკეულ შემთხვევებში ჩოგბურთი.

ტანვარჯიში ფართოდ უნდა იქნას რეკომენდებული როგორც ყოველმხრივი ფიზიკური განვითარების სახე. მაგრამ აუცილებელია მისი შინაარსის, მეთოდიკისა და მოცულობის ზუსტი განსაზღვრა. ამიტომ ხანშიშესულებთან მუშაობისას საჭიროა ცალკე ჯგუფების ჩამოყალიბება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი ძალებით წრთობას. მოხუცებულობისას ორგანიზმი ყველაზე მეტად განიცდის ჟანგვითი პროცესების შესუსტებას, ამიტომ სუფთა ჰაერი (არამარტო სეირნობის დროს) აუცილებელია შრომასა და ყოფაცხოვრებაში. აქ მხედველობაში გვაქვს შენობის საჭირო ვენტილაცია, თამბაქოს ბოლთან ბრძოლა საზოგადოებრივ ადგილებსა და სახლში.

ძალიან სასარგებლოა ჰაერის აბაზანები, მაგრამ ისინი უნდა დავიწყოთ თბილ ამინდში.

ზევით უკვე იყო ლაპარაკი წყლის მოქმედების შესახებ. მაგრამ გარდა ბანაობისა და ცურვისა, დიდი გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში წყლით სარგებლობას დაზელვის, გადავლების, აბაზანებისა და შხაპების სახით. წყლის მოქმედების ეფექტურობა უფრო ძლიერდება თუ წყლის პროცედურები ფიზიკურ ვარჯიშთანაა შეხამებული.

ერთ-ერთ, ყველაზე უფრო გავრცელებულ ჰიგიენურ პროცედურას წარმოადგენს გაფანტული სხივებით გათბობა, ე. ი. ჰაერ-მზის აბაზანები ტენტის ქვეშ ან ხის ჩრდილში. პირდაპირი მზის სხივების ქვეშ მზის აბაზანები უნდა მივიღოთ დილის საათებში და აბაზანების ხანგრძლივობა განისაზღვრება რამდენიმე წუთით. მზიან დღეებში თავზე მუდამ უნდა გვეხუროს თეთრი ქუდი ან პანამა. შეუძლოდ ყოფნისას საჭიროა შეწყდეს მზის აბაზანების მიღება.

დასასრულს საჭიროა აღინიშნოს, რომ უფროსი ასაკის ადამიანების ფიზიკური კულტურის საკითხები სერიოზულ პედაგოგიურ და სამედიცინო დამუშავებას საჭიროებენ. ამ საკითხებს სერიოზულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ სამედიცინო დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველო.

დოცენტი ი. იაბლონოვსკი

ღანჩხუთელთა მაგალითისამებრ

სპორტული ბაზების მშენებლობ საქმეში ლანჩხუთის რაიონის კომ კავშირელთა და ახალგაზრდობ ინიციატივამ დიდი გამოხმაურებ ჰპოვა აფხაზეთის ახალგაზრდობაშ საქართველოს ალკკ აფხაზეთის ს ოლქო კომიტეტმა განიხილა სპორ ტული ბაზების მოწყობის თაოსნო ბის საკითხი და დაავალა კომკავშ რის რაიონულ, საქალაქო და პირვე ლად ორგანიზაციებს სათანადო მ შაობა ჩაატარონ ამ მიმართულებით.

სოხუმის რაიონის კომკავშირე ლებმა და ახალგაზრდებმა გადაწყვ ტეს 20 თებერვლიდან მოაწყ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობი ერთთვიური. ამ ხნის განმავლობაშ რაიონში გაკეთდება ფეხბურთის კალათბურთის 4 და ფრენბურთ 15 ახალი მოედანი, წინაღობათა ზოლი, 5 ტანვარჯიშული ბაქანი, 1 სახტომი ორმო, 5 სარბენი ბილ 6 საჭიდაო მოედანი. წესრიგში ნება აგრეთვე მოყვანილი ყველა ა სებული სპორტული ბაზა.

რაიონის ახალგაზრდობა უკვე შ უდგა სპორტული ბაზების მშენე ლობას. სოფელ კელასურის კოლმ ურნეობა „წინსვლაში“, სოფელ გუ მისთის • რუსთაველის სახელობ კოლმეურნეობაში და სოფელ შრ მის კოლმეურნეობა „გამარჯვებაშ შენდება ფეხბურთის მოედნები.

ერთთვიურის დამთავრების შე დეგ ყველა კოლმეურნეობაში იქნ ბა ამა თუ იმ სახის სპორტულ ბაზა.

პ. ლეთოდიანი

ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

ბათუმის სახელმწიფო ცირკში ტარდა აჭარის პირად გუნდური პ ველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ჩემ ონატში მონაწილეობდნენ ბათუ პირველი და მეორე, ქობულეთის, თუმის და ხულოს რაიონების ნაკრ გუნდები. ასპარეზობაში გამარჯვ წილად ხვდა ბათუმის პირველ ნ რებ გუნდს, რომლის შემადგენლ ში იყვნენ ა. კოწურაშვილი, კ ლუქვაძე, ბ. ხოჭოლავა, ა. ცეცხლ პ. ქანთარია, ა. დიასამიძე, ი. ტუ -ში და რ. აბაშიძე. მეორე ადგი გამოვიდა ბათუმის მეორე ნაკრებ პირად ჩათვლაში ბრძოლა პირვე ადგილისათვის დაძაბულად მიმდი რეობდა. წონითი კატეგორიების ხედვით გაიმარჯვეს შ. ხოჭოლა ფ. ჩიგოგიძემ, ბ. ხოჭოლავამ, ა. ცხლაძემ, პ. ქანთარიამ, ა. დიასა ძემ, ი. ტუღუშმა, რ. აბაშიძემ.

აჭარის უძლიერეს მოჭიდავეთა პიონატმა, რომელიც ორ დღეს გრძ ლდებოდა, გვიჩვენა, რომ შეჯიბრ ში მონაწილეთა უმეტესობა ჯერ დევ არ არის დაუფლებული კლ კური ჭიდაობის ტექნიკას.

გ. თარგამაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯ

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოწ ნავე მუშა მ. წიკლაური, რომელ ყოველთვიურ დავალებას 118 პრ ცენტით ასრულებს, მძლეოსნო სექციის აქტიური წევრია. ს რათზე: მ. წიკლაური დაზგასთა

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ვარჯიშობენ, იწრთობიან

საღამოს 8 საათია. ვაკის 24-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის დარბაზი ელნათურებითაა განათებული. ფიზკულტურის მასწავლებლის გ. ღლონტის მოწაფეები ამჟამად მისი თანატოლები არიან. სპორტულ ფორმებში გამოწყობილი, ახალგაზრდულ ასაკს გადაცილებული სპორტსმენები ჩამწკრივებულან და მასწავლებლის განკარგულებას ელოდებიან. მეცადინეობის დაწყებამდე ექიმი გ. ალიაშვილი მორიგ საუბარს ატარებს ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობის შესახებ. შემდეგ მწყობრში დგება. მწვრთნელის განკარგულებაზე: „ნაბიჯით იარ!“ იწყება ვარჯიში. ნაბიჯიდან სირბილზე გადადიან. შესცქერით 60 წლის ექიმს და უნებურად გეღიმებათ, რა ყოჩაღად დარბის, დაღლასაც არ გრძნობს. აქ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები ვარჯიშობენ: რაიფინგანის მუშაკი მ. პიპინაძე, ექიმები — გ. მგალობლიშვილი და მ. პიპინაძე, მოსამართლეები — ო. ისაკაძე და უ. თარგამაძე, ინჟინრები — ა. პაპაშვილი და გ. გომელაური, სასამართლოს აღმასრულებლები — ტ. გაბუნია და ზ. ბუხრაშვილი, რაიაღმასკომის განყოფილების მუშაკები — ა. ცირეკიძე და გ. ერისთავი და სხვ.

— იარაღებისაკენ ნაბიჯით იარ! — ისმის განკარგულება და ჯგუფები ნაჩვენები ადგილებისაკენ მიემართებიან.

— სპორტული სანახაობით ყველა გატაცებული ვართ. ფეხბურთის დროს ფეხბურთელთა გულშემატკივრებს გვიძახიან, კალათბურთის დროს — კალათბურთისას. ხანდაზმულობას არ შევუშინდით და ვ. ალიაშვილისა და გ. ღლონტის დახმარებით გადავწყვიტეთ დაგვეწყო ვარჯიში. ყველა აქმყოფი სპორტის მოყვარულია. ისინი არ ემზადებიან რეკორდების დასამყარებლად, ჩემპიონობის სახელის მოსაპოვებლად. მათთვის მთავარია მხოლოდ სხეულის გაკაჟება, რადგან ჯანმრთელი ორგანიზმი საზოგადოებრივ მუშაობაში წარმატების მოპოვების ერთ-ერთი საფუძველია, — განაცხადა სექციის აქტიურმა წევრმა, 26 კომისრის სახელობის რაიონის სახინაო სამმართველოს უფროსმა ა. შარაშენიძემ.

ა. სამსონია
ა. გელოვანი

საქართველოს XV პირველობა

13 მარტს თბილისის საჭადრაკო კლუბში მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობამ მოიყარა თავი. ჭადრაკის მოყვარულნი დიდი ინტერესით ელოდნენ მეთხუთმეტე ჩემპიონატის ლიდერთა შეხვედრას. როცა 16 მონაწილე მიუსხდა მაგიდებს და 8 სადემონსტრაციო დაფაზე პირველმა პაიკებმა შეინაცვლეს ადგილები, მაყურებელთა შორისაც დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა — გურგენიძემ, რომელიც ამ დღეს თეთრებით თამაშობდა ლაზიერის ფლანგის პაიკები გამოიყვანა, რასაც ბუსლაევმა ძველინდური დაცვით უპასუხა. ლიდერები მართლაც შეუპოვრად, თამამად თამაშობდნენ და არ გაურბოდნენ გართულებებს. 8 საათიანი ბრძოლის შემდეგ (პირველ დღეს პარტია გადადებულ იქნა) მოწინააღმდეგეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ვბეჭდავთ გურგენიძისა და ბუსლაევის პარტიას.

1. c4 მf6 2. მf3 g6 3. მc3 კg7 4. d4 0—0 5. e4 d6 6. კe2 e5 7. d5 მbd7 8. 0—0 მc5 9. ლc2 a5 10. მe1 მe8 11. კe3 f5 12. cf gf 13. f4 ლe7 14. მd3 მa6 15. a3 e4 16. მf2 c5 17. ეad1 მf6 18. მa4 კd7 19. მb6 ე:7 20 მ:d7 ლ:d7 21. ეd2 ე:a8 22. ლd1 მc7 23. g4 fg 24. მ:g4 b5 25. მფh1 bc 26. ეg1 მფh8. 27. კ:c4 მ:g4 28. ე:g4 კf6 29. ეdg2 ე:8 30 ეg5 ეb2 31. კd2 ე:d2 32. ლ:d2 კ:g5 33. ე:g5 ლf7 34. ლ:a5 ლf4 35. ლc3+ ეf6 36. ეg3 h5 37. ეg6 მe8 38 a4 მფh7 39. ეg3 მg7 40. ლe3 ლe5 41. ლg5 ლ:g5 42. ე:g5 ეg6 43. ეg2 ე:g2 44. მფ:g2 მf5 45. მფf2 მფg6 46. a5 მe7 47. a6 მc8 48. კb5 მფf6 49. კd7 მb6 50. a7 მფe5 51. h4 მფ:d5 52. კe8 მფe5 53. კh5 c4 54 კg6 d5 55 h5 მფf6 56. მფe3 c3 57. მფe2 მფg5 58. მფd1. ყაიმი.

გასული წლის ჩემპიონმა ბლაგიძემ ენერგიულად ითამაშა კალატოზიშვილის წინააღმდეგ, თავიდანვე შებოჭა იგი და შუა პარტიაში ხარისხი მოიგო. ამის შემდეგ კალატოზიშვილის პოზიციაში თეთრების ლაზიერი და ეტლი შეიჭრნენ. კალატოზიშვილი იძულებული იყო დაეთმო პარტია.

მაჭავარიანი თავის სატურნირო პრაქტიკაში პირველად ხვდებოდა ოსტატს. ეს იყო შიშოვი. ოსტატმა დებიუტში სიცილიური დაცვა გაითამაშა და რახან აქ ინიციატივას ვერ მიაღწია, პარტია გადაიყვანა ენდშპილში. აქ მან გამსვლელი პაიკი შექმნა და პარტია მოიგო.

მიქაელიანმა სმირნოვს ფიგურა შესწირა და სამაგიეროდ უკეთესი პოზიცია მიიღო. სმირნოვმა ვერ მონახა სწორი გაგრძელება და წააგო პარტია.

ჩიქოვანმა შესანიშნავად გაითამაშა მეფის გამბიტი და ლამაზად მოუგო შეხვედრა ელიოზიშვილს, ფრუიძემ დამარცხა არნშტეინი.

ყაიმით დამთავრდა ჯახუა-ჯაკობიას შეხვედრა. ნიკოშვილმა გიორგაძესთან რთულ კომბინაციურ თამაშში ფიგურა წააგო 3 პაიკში. პარტია გადაიდო გიორგაძისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

გადადებული პარტიების გათამაშების დღეს ბუსლაევმა ბლაგიძეს აჩვენა ის ვარიანტი, რომელიც მას ყაიმს აძლევდა. ბლაგიძე თამაშის განუახლებლად დათანხმდა ბუსლაევის წინადადებას.

გიორგაძემ გამოიყენა თავისი უპირატესობა ნიკოშვილის წინააღმდეგ და მოიგო პარტია. მაჭავარიანმა დაამარცხა ჯაკობია.

პირველობის მონაწილეთაგან ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა მოჭადრაკე მიქაელიანი. მან ერთობ წარუმატებლად დაიწყო ტურნირი — პირველი ხუთი შეხვედრის შემდეგ გათამაშების ცხრილში მისი გვარის გასწვრივ ოთხი ნოლი ეწერა. მიქაელიანმა „ფეხი აიდგა“ მე-7 ტურში, როცა ჯახუა დაამარცხა. ამის შემდეგ მისი საქმე კარგად წავიდა და მე-9 ტურიდან მოყოლებული ზედიზედ ხუთი პარტია მოიგო. 15 მარტს მისი მორიგი მსხვერპლი იყო არნშტეინი. პაიკების გააფთრებული შეხლა-შემოხლის შემდეგ მიქაელიანმა მოიგო ერთ-ერთი მათგანი, მიიღო უკეთესი პოზიცია და გაიმარჯვა.

ნიკოშვილისა და ჩიქოვანის პარტიაში გათამაშდა ჩიგორინის დაცვა. თეთრების მეფე ცენტრში ჩამორჩა, შავებმა მასზე ტერორისტული თავდასხმა მოახდინეს და როცა შამათამდე ერთი სვლა დარჩა, ნიკოშვილმა გააჩერა საათი.

სიცილიური დაცვის დებიუტში ჯახუამ მეტად პრობლემატური სვლები გააკეთა შიშოვთან. შიშოვმა გაცვალა ფიგურები, ლაზიერის ფრთაზე ხაზი დაიკავა და შეიჭრა მოწინააღმდეგის პოზიციაში. ამან გადაწყვიტა თამაშის ბედი შიშოვის სასარგებლოდ.

კალატოზიშვილ-გურგენიძის პარტიაში გურგენიძემ უბრალო, მაგრამ ნაყოფიერი კომბინაციით ცენტრში მოიგო ჯერ პაიკი, მერე ფიგურა, ამის შემდეგ გურგენიძემ ერთი მეორეზე რამდენიმე პაიკი მოჰკლა და კალატოზიშვილმა 29-ე სვლაზე პარტია ჩააბარა მოწინააღმდეგეს.

ელიოზიშვილი-ბლაგიძის შეხვედრა დამთავრდა ყაიმით. მიუხედავად იმისა რომ დაფაზე დარჩენილი იყო მრავალი ფიგურა, პერსპექტივაში მაინც ყაიმი გამოდიოდა.

გადაიდო სამი პარტია. ბუსლაევს პაიკების ენდშპილი აქვს მაჭავარიანთან და მისი მოგება ეჭვს არ იწვევს. მოსაგები მდგომარეობა აქვს გიორგაძეს სმირნოვთან. მისი ეტლი მხედრის წინააღმდეგ პაიკების თანაბრობის დროს, უთუოდ მომგებიანია. ფრუიძეს ინიციატივა აქვს ჯაკობიასთან, მაგრამ წინაა საინტერესო თამაში.

13 ტურის შემდეგ ბუსლაევს აქვს 10 ქულა (ერთი გადადებული), გურგენიძეს — 10, შიშოვს — 9, ბლაგიძეს 8,5, ელიოზიშვილსა და მიქაელიანს 7,5 ქულა თვითეულს.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი.
ბ. ქორქია.

◊◊◊

საქართველოს პირველობა კრივში. **სურათზე:** (მარცხნივ) ნ. დარბაისელი უტევს ჟ. უგულავას. (მარჯვნივ) საკავშირო კატეგორიის მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ვართანოვი გამარჯვებას ანიჭებს ფ. ლომიძეს.

ფოტო მ. ზარგარიანისა

შავი ზღვის სანაპიროზე გაზაფხული თავის უფლებებში შევიდა. სპორტსმენები ღია ცის ქვეშ სავარჯიშოდ გამოვიდნენ. მოედნებზე გამოჩნდნენ ფეხბურთელთა გუნდები. ტურისტულმა სექციებმა გააჩაღეს საქმიანობა. დაიწყო აფხაზეთის ღირსშესანიშნავი ადგილების შესწავლა.

სურათზე: სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ტურისტთა სექციის წევრები, რომლებმაც დაათვალიერეს ბესლეთის ხიდი.

ფოტო ა. წიქრიძისა

შავი ზღვის სანაპიროზე

«დინამო» (მოსკოვი) — «დინამო» (კიევი)

ლესელიძე. (ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). ლესელიძის ფეხბურთის მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ „ა“ კლასის ოსტატები „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი). მოსკოველები მოედანზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: იაშინი, როდიონოვი, კრიჟევსკი, იურჩენკო, ვოდიაგინი, სავდუნინი, რიჟკინი, მამედოვი, ბონდარენკო, ფედოსეევი, ილინი. კიევის გუნდში თამაშობდნენ: მაკაროვი, ტიშჩენკო, გოლუბევი, პოპოვიჩი, იუსტი, მიხალინა, გრამატიკოპულო, სავინოვი, ვინკოვატოვი, კომანი, ფომინი. მატჩს სჯიდა ბ. პაიჭაძე.

გუნდებმა თამაში მაღალი ტემპით დაიწყეს. მოსკოველებს მე-5 წუთზე ჰქონდათ ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ მამედოვმა იგი ვერ გამოიყენა. შემდგომში ინიციატივა კიეველთა მხარეს გადავიდა. მათში აქტიურად თამაშობდნენ კომანი, გრამატიკოპულო და ვინკოვატოვი. 21-ე წუთზე კომანმა და გრამატიკოპულომ გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, რის შემდეგ ბურთი მიიღო ვინკოვატოვმა. მან გვერდი აუქცია კრიჟევსკის, როდიონოვს და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა.

თამაშის მეორე ნახევარში ვინკოვატოვი ზაზროევმა შეცვალა. თამაში უფრო გამწვავდა. მე-13 წუთზე ანგარიში გაათანაბრა მოსკოველმა ილინმა. ორივე გუნდის თავდამსხმელთა შემდგომ ცდას, გაედიდებინათ ანგარიში, შედეგი არ მოჰყოლია. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა — 6:2.

ბ. ანთაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი

«სპარტაკი» (ერევანი) — ცდსა

ოჩამჩირე. (ჩვენი საკ. კორ). ამ დღეებში ოჩამჩირის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლისა (მოსკოვი) და ერევნის „სპარტაკის“ ოსტატი ფეხბურთელები. ერევნელებმა მატჩი იერიშით დაიწყეს და მალე შედეგსაც მიაღწიეს — მე-7 წუთზე მოსკოველთა კარში გატანილ იქნა ბურთი. ტაიმის დასასრულამდე „სპარტაკმა“ კიდევ ორი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

თამაშის მეორე ნახევარში არმიელი ფეხბურთელები უტევდნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ ერევნელთა მცველები წარმატებით იგერიებდნენ მათ იერიშებს.

მატჩი დამთავრდა ერევნის „სპარტაკის“ გამარჯვებით, ანგარიშით 3:0.

ვ. დოხნაძე

მკითხველთა სიგნალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუსრულებელი მშენებლობა

სოხუმის ტურისტთა ბაზის მახლობლად არის ერთი კაპიტალური შენობა, რომელსაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მეტსახელად „არაშენდა“ შეარქვეს. მართლაც, რომ საინტერესოა ამ შენობის ისტორია.

სოხუმელი ახალგაზრდების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ აფხაზეთის საოლქო საბჭომ ამ შენობის აგება დაიწყო. აქ უნდა მოწყობილიყო ტანვარჯიშული დარბაზი ყველა საჭირო ინვენტარით. მაგრამ მშენებლობა 1953 წელს შეწყდა და დღემდე არ განახლებულა.

1951 წელს აღნიშნული დარბაზის მშენებლობისათვის 1.251 ათასი მანეთი გამოყვეს. მშენებლობა დაევალა აფხაზეთის სარეწაო კავშირის სამშენებლო კონტორას (უფროსი ამხ. ა. ცავა), რომელმაც ააგო კედლები, გადახურა დარბაზი, თვალის მოსატყუებლად მოაპირკეთა ფასადი და ამაზე შეწყვიტა საქმიანობა.

პ. ქულბაქელი

ინვენტარი საწყობშია ჩაკეტილი

ცხაკაიას რაიონში ფართოდ გაიშალა მუშაობა ზაფხულის სპორტული სეზონის შესახვედრად. საქართველოს ალკკ ცხაკაიას რაიკომის ბიუროზე დროულად განიხილეს სეზონისათვის მზადების საკითხი და მიღებული იქნა სათანადო გადაწყვეტილებანი. მთელი რიგი სპორტული ორგანიზაციები ენერგიულად ემზადებიან, მაგრამ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში, წარმოებასა და დაწესებულებებში ფიზკულტურული კოლექტივები ამ საქმისადმი უდარდელ დამოკიდებულებას იჩენენ.

ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია. ფიზკულტურული კოლექტივის ხელმძღვანელს ი. ღვინჯილიას სამუშაო გეგმა არ გააჩნია. აქ ოთხი ათასი მანეთის სპორტული ინვენტარი საწყობშია ჩაკეტილი. მოუვლელია მოედნები.

ასეთივე სავალალო მდგომარეობაა სოფელ მენჯის მარქსის სახელობის, ეკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებში, ცხაკაიას კირის ქარხანაში, მტს-ში, არტელ „კოლხიდაში“ და სხვ.

ნ. ნანეიშვილი

„მშვიდობისა და მეგობრობისათვის“

კინო

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეოთხე მსოფლიო ფესტივალს, რომელიც გასულ წელს რუმინეთის დედაქალაქში ჩატარდა, საფუძვლად ედო მსოფლიოში მშვიდობისა და მეგობრობის წმიდა იდეა. ამ დაუვიწყარ დღეებს მიეძღვნა ახალი დოკუმენტური მხატვრული ფილმი „მშვიდობისა და მეგობრობისათვის“.

პირველ კადრებიდანვე ჩანს, თუ რა დიდი მონდომებითა და ინტერესით ემზადებოდნენ ფესტივალისათვის ინგლისის, შვეციის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდები. მსოფლიოს 111 ქვეყნის 30 ათასზე მეტი ახალგაზრდა უწყვეტ ნაკადად მიედინება სტუმართმოყვარე ბუქარესტისაკენ. ფესტივალის ქალაქი სავსეა სხვადასხვა ეროვნების, კანის ფერის, პოლიტიკური და რელიგიური რწმენის ადამიანებით. მათ ერთი საერთო მიზანი ამოძრავებთ — მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვა.

ეკრანზეა სიცოცხლითა და ხალისით სავსე სახეები. აი, ფრანგი ახალგაზრდები, რომელთაც ხელში აყვანილი მოჰყავთ ვიეტნამელი ჭაბუკი, კორეელი გოგონა სამკერდე ნიშანს უკეთებს ქერათმიან ამერიკელს. აგერ ახალგაზრდების ჯგუფი. მათ ერთმანეთის ენა არ ესმით, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი იყენებს სპეციალურად ფესტივალისათვის გამოცემულ ლექსიკონს და ყველაფერი გასაგები ხდება.

წარმტაცი და ამაღელვებელია კადრები, რომლებიც ფესტივალის გახსნის დღეს ასახავენ. 80 ათასი მაყურებლით სავსე, 23 აგვისტოს სახელობის სტადიონი აღფრთოვანებული ეგებება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს. სტადიონის სარბენ ბილიკებზე შემოდიან სპორტსმენები. ესენი არიან მძლეოსნები — წარმომადგენლები იმ 18 ქვეყნისა, რომლებშიც გაიარა მშვიდობისა და მეგობრობის საერთაშორისო ამანათ-რბენმა. ფესტივალი იწყება. ლაჟვარდოვანი ცა მტრედებით იფარება...

ფესტივალის მრავალფეროვან პროგრამაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა საერთაშორისო ამხანაგურ სპორტულ შეხვედრებს. თერთმეტი დღის განმავლობაში ბუქარესტის სტადიონებსა და სპორტულ მოედნებზე 54 ქვეყნის წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სპორტის თვრამეტ სახეობაში.

... სპორტსმენი ქალები სტარტს მოწყდნენ. ისინი ოსტატურად გადადიან თარჯებზე და ფინიშისაკენ მიჰქრიან. ფინიშის ზონარს პირველი ეხება საბჭოთა სპორტსმენი მარია გოლუბნიჩაია. იგი 80 მეტრზე თარჯრბენში ჩემპიონის სახელს იმსახურებს. ცოცხლად არის აღბეჭდილი ეკრანზე საინტერესო და დაძაბული შეხვედრა 5.000 მეტრზე რბენაში. მასში მსოფლიოს უძლიერესი მორბენლები მონაწილეობდნენ. მთელ მანძილზე წინ არის საბჭოთა სპორტსმენი ვლადიმერ კუცი, მაგრამ ზედ ფინიშთან მას ეწევა მსოფლიოში უძლიერესი მორბენალი, ჩეხი ემილ ზატოპეკი და პირველ ადგილს იკავებს.

ეკრანზეა ცნობილი საბჭოთა სპორტსმენი ალექსანდრა ჩუდინა. იგი ჩემპიონის საფეხურზე დგას და კიდევ ერთ ოქროს მედალს მატებს საბჭოთა გუნდს. ეს მან სიგრძეზე ხტომაში პირველობისათვის მოიპოვა. ფეხბურთის მოედანზე მწვავე ბრძოლაა უნგრეთისა და რუმინეთის ფეხბურთელთა შორის.. აი, ჰაერს მიარღვევს ნინა პონომაროვას მიერ ნატყორცნი ბადრო, მაყურებელს ანცვიფრებს ბელგიელ ქალთა რთული და ლამაზი სპორტული ვარჯიში წყალში.

ფილმი „მშვიდობისა და მეგობრობისათვის“ მოგვითხრობს ფესტივალის ფართო მხატვრულ პროგრამაზე. მომღერალთა და მოცეკვავეთა კოლექტივების გამოსვლები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

უყურებ ფილმს და გრძნობ, რომ ვერავითარი ბოროტი ძალა ვერ ჩაახშობს კეთილშობილურ სურვილს — იყოს მსოფლიოში მშვიდობა.

გ. გომართელი

ᲯᲘᲥᲘ ᲛᲝᲘᲜᲐᲓᲘᲠᲐ

ზედაზნის მთის სამხრეთ კალთებს აჰყვა საგურამოელი მონადირე შაქრო შამხალაშვილი. ფრთხილად მიაბიჯებდა ფრიალო ფერდობზე, გულდასმით ათვალიერებდა ხევის პირებს — დათვის ბუნაგს ეძებდა.

მონადირის სული და გული იქით იყო, სადაც მას არა ერთი დათვი მოეკლა. ბობოხვერას კლდის გამოქვაბულს რომ მიუახლოვდა, თოვლზე უცხო ნაფეხური შენიშნა. ეტყობოდა დათვი არ იყო. უფრო მგლის ნაკვალევს ჰგავდა. მაგრამ საგურამოელს მგლის მეტი რა უნახავს? დაინტერესდა. გაჰყვა ნაფეხურს და „შუის წყლის“ ხევს რომ გადასცდა, კვალი მკვეთრად მობრუნდა გამოქვაბულისაკენ.

გამოქვაბული შვეულ კლდეშია შეჭრილი, ხოლო კლდის ძირში ქარწვიმისაგან დაცული ისეთი მყუდრო ადგილია, რომ თუ ოდნავ მზე ანათებს, საკმაოდ თბილა ხოლმე.

კვალმა მონადირე იმ ადგილზე მიიყვანა, სადაც ახალდახრული ძვლები ეყარა და ნადირის ნაწოლიც კარგად ჩანდა. დათვი არ იყო, ამაში იმითაც დარწმუნდა საგურამოელი, რომ ნაწოლზე მან ნადირის ბეწვი შენიშნა. ბევრი ეძება, მაგრამ ნადირი ვერ ნახა. სახლში რომ დაბრუნდა, მეზობლებს უამბო ნანახის შესახებ. ზოგმა უთხრა დათვი იქნებოდაო, ზოგმა მგელიო, ფოცხვერიო. ყველა ნადირი ჩამოთვალეს, მაგრამ მონადირე ყველა ნადირს კარგად იცნობდა ნაფეხურებითაც და ბეწვითაც.

სამჯერ-ოთხჯერ მაინც მოინახულა ბობოხვერას გამოქვაბულები შაქრომ და ყოველთვის ახალ-ახალ ნიშნებს ამჩნევდა. იგი ამით უფრო ღიზიანდებოდა, თორემ მხეცს რომ ბუნაგი მიეტოვებინა, მონადირეც ხელს ჩაიქნევდა და თავს მიანებებდა. მაგრამ ასე არ იყო. წინა დღეებში სხვა მონადირეებს ზედაზნის ტყეში ირმის გამოხრული ძვლები ენახათ. ცხადი იყო, რაღაც დიდი ნადირი ანადგურებდა ირმებს. ეს რომ შენიშნა შაქრომ იმ დღეს თბილისში მიდიოდა თავის საქმეზე. ყოველ შემთხვევისათვის თოფიც თან წაიღო და ზედაზნის ქედი გადასერა. ბუნაგთან ირმის ახალი ლეშის ნარჩენებიც ნახა, მაგრამ ნადირს ვერ იქნა და ვერ მიაკვლია.

თბილისიდან უკან დაბრუნებისას შაქრო ავჭალაში შეჩერდა. მგლებზე ცნობილი მონადირე მოხუცი ნიკა ბეკურაშვილი ინახულა, უამბო უცნობი ნადირის შესახებ და რჩევა თხოვა.

ნიკამ გულდასმით მოუსმინა და მცირე ფიქრის შემდეგ უთხრა:

— ეგა ბიჭო, დიდი ფოცხვერი უნდა იყოს. გაუფრთხილდი. მშიშარა კია, მაგრამ ზოგჯერ კაცს მოულოდნელად დაახტება ხოლმე ხიდან.

საგურამოელმა ავჭალელის დარიგება გულდასმით მოისმინა, გამოემშვიდობა მოხუცს, გადაიარა ავჭალის სერი, ზედაზნის მთას შეუდგა და გეზი ისევ ბობოხვერას გამოქვაბულისაკენ აიღო. მხოლოდ აქამდე იყო ქვევიდან, პირდაპირ მიადგებოდა ხოლმე ბუნაგს, ახლა მან ზემოდან მოუარა და თოფმომარჯვებულმა შვეული კლდიდან გადაიხედა. გადაიხედა და თვალებს არ დაუჯერა—ძირს, ბუნაგის წინ გაწოლილიყო ყვითელი ცხოველი, რომელსაც ტანზე ვაშლისოდენა შავი ლაქები ეყარა.

ვეფხვია! — თქვა მონადირემ და თოფი დაუმიზნა. მარცხნივ მოინაცვლა ფეხი, რომ უფრო კარგად დაენახა მხეცი, მაგრამ დახეთ უბედურებას: ფეხქვეშ დაცურებული კენჭები დაბლა ჩაცვივდა.

ნადირი სწრაფად შეტრიალდა იქით, საიდანაც ხმაური მოესმა და ცეცხლოვანი, მრისხანე თვალები გამოანათა. მონადირეს ფიქრის დრო აღარ ჰქონდა. შაქრომ თოფას მარჯვენა სასხლეტს გამოკრა თითი. თოფი გავარდა და დაჭრილმა ნადირმა მტრისაკენ ერთი ნახტომი მაინც გააკეთა, მაგრამ კლდის გამოშვერილ ქიმს ჩამოეკიდა და შემზარავი ღმუილი მორთო. ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა მასთან მისვლა. ახლა მარცხენა ლულაზე იყო საქმე.

შაქრომ მოიკრიბა ნებისყოფა, გულდასმით ამოიღო მიზანში მისკენ თავით შემობრუნებული ნადირი და გამოსწია სასხლეტს... ახლა მტაცებელი კლდეს მოსწყდა და უღონოდ ჩაცურდა თავის ნაბუნაგართან. თუმცა საშიში აღარაფერი იყო, მაგრამ მონადირემ მაინც ჩააწყო ვაზნები თოფში და ნანადირევთან ჩაფოფხდა.

— კარგი ქენი ბეკურაშვილთან რომ ამოვიარე და გამაფრთხილა, — გაიფიქრა მან, — თორემ ამ ტიალს ხომ გულდანდობილი წავაწყდებოდი ბუნაგში.

მოკლული ნადირი ჯიქი გამოდგა. იგი სიგრძით (კუდის ჩათვლით) სამ მეტრს აღწევდა, წონით — 100 კილოგრამს.

ჯიქი შეიძინა ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა. შაქრო შამხალაშვილი მეტად სიტყვა ძუნწი და მორიდებული ადამიანია. მაშინაც კი, როცა ფოტოკორესპონდენტთან ერთად ზედაზნის ფერდობზე ავედით სურათის გადასაღებად, ამ წერილისათვის საჭირო სიტყვები ძლივს ვათქმევინე.

შაქრო ძველი სპორტსმენია — 1937 წელს თბილისის მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდში შედიოდა და საშუალო წონაში ბევრი დაუჯაბნია.

ᲡᲝᲡᲝ ᲘᲝᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

★

ლენინგრადის ზამთრის სტადიონზე ჩატარდა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტანმოვარჯიშე ქალთა შორის. გუნდური პირველობის პარალელურად უძლიერესნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პირად პირველობაზე, სადაც წარმატებას მიაღწია საბჭოთა სპორტსმენმა ს. მურატოვამ, რომელმაც პირველი ადგილი მოიპოვა.

სურათზე: ს. მურატოვა ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს.

★

★

წლითი-წლობით იზრდება ჩვენს ქვეყანაში სპორტული ბაზების ქსელი, ზღვის სანაპიროებსა თუ მაღალ მთებზე მუდამ გაისმის სპორტსმენთა მხიარული შეძახილები.

სურათზე: თქვენ ხედავთ ზაილის ალათაუს (ყაზახეთის სსრ) ჩემსულაკის მიდამოებს, რომელიც მოთხილამურეთა საყვარელი ადგილია.

★

ზამთრის სპორტული სეზონი დასასრულს უახლოვდება, მაგრამ საბჭოთა ქალაქებში ჯერ კიდევ გრძელდება შეჯიბრებები რუსულ და შაიბიან ჰოკეიში. ამ დღეებში ჩელიაბინსკში ჩატარდა მოსკოვისა და ჩელიაბინსკის ჭაბუკთა შეხვედრა შაიბიან ჰოკეიში. გაიმარჯვეს მოსკოველებმა 11:4.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: შეხვედრის მომენტი.

ფოტოები ვ. გეორგიევის, ი. ბუნდევორისა და ნ. ნაუმენკოსი.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ

თბილისის საჭიდაო [illegible] გამართა ქალაქის პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში დამწყებთა შორის. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს ძებისაშვილმა, შენგელიამ, ლუდუშაურმა (სამივე თბილისის განათლების განყოფილების მოზარდთა სპორტული სკოლა), ბედოშვილმა (ახალგაზრდობის სპორტული სკოლა), დოლუზაშვილმა („შრომითი რეზერვები“), ცანავამ („მედიკი“), მეცხვარიშვილმა („ნაუკა“) და მაისურაძემ („სპარტაკი“).

Თ. ᲓᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

თბილისში რკინიგზელთა სპორტულ დარბაზში დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო საბჭოს პირად გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ბაქოს, ერევნის, თბილისისა და სოხუმის რაისაბჭოების, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის წარმომადგენლები. პირად ჩათვლაში ქალთა შორის გაიმარჯვა ე. პარფენოვამ. ვაჟთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა ი. სარქისოვმა (ორივე რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდიდან). შერეულ წყვილთა შორის უძლიერესი იყვნენ პარფენოვა და სარქისოვი.

გუნდურ ჩათვლაში ქულათა მეტი რაოდენობა დააგროვა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ნაკრებმა კოლექტივმა.

Ვ. ᲘᲜᲬᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲒᲐᲘᲛᲔᲝᲠᲐ

თბილისის ოლქის ოფიცერთა სახლის ტირში, რვა დღეს გრძელდებოდა საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება სროლაში. საუკეთესო შედეგს მიაღწია ახალგაზრდა სპორტის ოსტატმა გ. ბექთაშევმა. მან მცირე კალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე სროლაში, წოლელა მდგომარეობიდან დააგროვა 198 ქულა (200 შესაძლებლიდან), ჩოქელა მდგომარეობიდან — 195 ქულა, ხოლო დგომიდან — 191 ქულა. სულ ჯამში 600 შესაძლებლიდან მან დააგროვა 584 ქულა და გაიმეორა საკავშირო რეკორდი.

Მ. ᲟᲐᲛᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲗᲐᲜ

თბილისის მასწავლებელთა სახლში მოეწყო მასწავლებელთა და ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა შეხვედრა სპორტის დამსახურებულ ოსტატებთან—ბ. პაიჭაძესთან, მ. ჯუღელთან, დ. ციმაკურიძესთან და ე. გოკიელთან.

მოხსენება — „საბჭოთა სპორტსმენები მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლაში“ — გააკეთა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილმა წევრმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. გოკიელმა.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, აგრეთვე მასწავლებელი თ. ლოლაძე, თბილისის ქალთა პირველი და ვაჟთა 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები.

სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში მოგზაურობისა და საერთაშორისო შეჯიბრებებში საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლების შესახებ დაწვრილებით მოუთხრო საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა მ. ჯუღელმა.

სიტყვებით გამოვიდნენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ციმაკურიძე და სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე.

დასასრულს გაიმართა კონცერტი.

Ვ. ᲩᲔᲙᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

……

რედაქტორი Ი. ᲣᲑᲣᲚᲐᲕᲐ

„ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ᲙᲐᲜᲐᲓᲔᲚᲘ ᲛᲔᲤᲔᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲒᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲢᲐᲮᲢᲘᲓᲐᲜ“

◆

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

◆

6 მარტს სტოკჰოლმის სამეფო სტადიონის ყინულის მოედანზე გაიმართა უკანასკნელი მატჩები მსოფლიოს პირველობაზე შაიბიან ჰოკეიში. მრავალათასიანი მაყურებელი შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს ჩემპიონატის ცენტრალურ მატჩს სსრ კავშირისა და კანადის გუნდებს შორის და როცა საბჭოთა ჰოკეისტებმა დიდი ანგარიშით — 7:2 დაამარცხეს თოთხმეტგზის მსოფლიო და ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონები — კანადელები, შვედი სპორტის მოყვარულები მქუხარე ტაშით შეეგებნენ გამარჯვებულებს.

შვეციის ჰოკეისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ ჰ. ბერგლუნდმა ჩვენი ქვეყნის გუნდი ოფიციალურად გამოაცხადა მსოფლიოს ჩემპიონად. ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ჯ. აჰერნი მიესალმა ჩემპიონებს, ხოლო სტოკჰოლმის ბურგომისტრმა კ. ანდერსონმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცა მათ.

ჰოკეისტთა ჩემპიონატი უცხოეთის სპორტული წრეების ყურადღების ცენტრში იყო. საზღვარგარეთულმა პრესამ ვრცელი ადგილი დაუთმო მის გაშუქებას, ცნობილი კომენტატორები და რეცენზენტები ყოველმხრივ იხილავდნენ ჩატარებულ და მომავალ მატჩებს, აკეთებდნენ პროგნოზებს. საერთო აზრით ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისათვის ყველაზე მეტი შანსი ჰქონდა კანადის გუნდს, რომელიც გამანადგურებელი ანგარიშით ამარცხებდა მოწინააღმდეგეებს — 8:1, 8:0, 8:0, 8:1, 20:1, 5:2.

გადამწყვეტმა შეხვედრამ ცხადჰყო, თუ ვინაა ნამდვილად უძლიერესი მსოფლიოში. საბჭოთა ჰოკეისტებმა გააქარწყლეს მითი კანადელთა შეულახავ ჰეგემონიაზე და როგორც დასავლეთგერმანული გაზეთი „დერ კურირი“ წერდა, — ამჟამად „ჰოკეის კანადელი მეფეები ჩამოგდებული არიან ტახტიდან“.

საბჭოთა სპორტსმენების მორიგმა გამარჯვებამ აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია შვეციის პრესაში. აქაური გაზეთები „დაგენს ნიუჰეტერი“, „მორგონ-ტიდნინგენი“, „სტოკჰოლმს-ტიდნინგენი“, „სვენსკა დაგბლადეტი“ და სხვანი, მთელ გვერდებზე, დიდი სათაურებით ათავსებენ ვრცელ წერილებს, გამარჯვებულთა სურათებს. მათი საერთო დასკვნაა: საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ბრწყინვალე გუნდი უდავოდ უძლიერესია მსოფლიოში, ის ტექნიკა, სისწრაფე, კოლექტიურობა და სპორტული დისციპლინა, რაც საბჭოთა სპორტსმენებმა აჩვენეს — განსაცვიფრებელია.

ნორვეგიული გაზეთი „არბეიდერბლადეტი“ წერდა: „კანადის გუნდს მოექცნენ ისე, როგორც იგი თვით ფიქრობდა მოქცეოდა მოწინააღმდეგეს, ვსევოლოდ ბობროვი და დანარჩენები მსოფლიოს ღირსეული ჩემპიონები არიან“.

„მორგენპოსტენის“ კორესპონდენტმა თავის წერილში აღნიშნა: ხალხსავსე სტადიონი მოწმე იყო იმისა, რომ ჰოკეის დარგში „გამოუცდელი“, სსრ კავშირის გუნდი, ისე თამაშობდა კანადელებთან, როგორც მოწაფეებთან. კანადელებს უხეშად თამაშმაც არ უშველა, რუსებმ ამასაც გაუმკლავდნენ“.

საბჭოთა ჰოკეისტების შესანიშნავი წარმატება ფართოდ აღნიშნეს ავსტრიის, ბელგიის, ფინეთის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გაზეთებმა.

დასავლეთ გერმანიის პრესაც კი, რომელიც, ჩვეულებრივ, სიტყვაძუნწია საბჭოთა სპორტსმენების წარმატებაზე, იძულებული იყო ეღიარებია მათი წარმატება. „დი ველტმა“ პირველ გვერდზე მოათავსა წერილი „სენსაციური ცნობა: რუსეთი მსოფლიოს ჩემპიონია ჰოკეიში“.

საბჭოთა კავშირის წარგზავნილთა გამარჯვებამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა კანადაშიც. „გლობ ენდ მეილი“, „სიტიზენი“, „ჯორნელი“ ერთხმად აღიარებენ საბჭოთა ჰოკეისტთა უპირატესობას კანადელებზე. „ჯორნელი“ წერდა: „რუსები ჰოკეის თამაშის გაკვეთილებს აძლევენ კანადელებს“.

საყურადღებოა კანადის გუნდის კაპიტნის ტომას კამპბელის განცხადება: ჩვენ წარმოდგენილიც არ გვქონდა თუ ასე შეიძლებოდა ჰოკეის თამაში.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ᲣᲔ 00658